№ 165 აგვისტო 11, სამშაბათი 1887 აგვისტო 11, სამშაბათი № 165

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და კრიქოროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კ.

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—2)

ტფილისი, 10 აგვისტო

ხშირად საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან, სხვა-და-სხვა დაბა და სოფლებიდგან გვაუწყებენ ხოლმე, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის ყმაწვილ-კაცობა ისე ატარებს დროს, რომ ამ დროს გატარებაში არც რაიმე აზრია, არც რაიმე საგანია. კორრესპონდენტები გვწერენ, რომ ამა თუ ამა სოფლის, ან დაბის თავად-აზნაურნი მუდმივ ქეიფსა და ღვინის სმაში იმყოფებიან და თვისს უიმისოდაც მცირე ქონებას ბოლოს უღებენ, იმ ქონებას, რომელზედაც აგებული და დამყარებული უნდა იყოს მათი და მათ შთამომავლობის ბედი და უბედობა... გვატყობინებენ, რომ ამათ ერთად-ერთ საგნად თვისის ცხოვრებისა გაუხდიათ ზომას გადაცილებული სმა-ჭამა, ქაღალდის თამაშობა, ყომარბაზობა და სხვა არაფერი, თითქო ცხოვრების სარბიელზე სხვა სანაღვლელი, საზრუნველი არა მოიპოვება-რა, თითქო ადამიანს სხვა არა აქვს-რა გარდა სტომაქისა, რომელმაც, ვითარცა უძირო ქვევრმა, უნდა შთანთქას ადამიანის მთელი ყოფა-ცხოვრება და სარჩო-საბადებელი. ისინი, ვინც ყოველივე ამას გვწერენ, ამბობენ, რომ იმ მოქეიფეთ არავითარი გაგება და აზრი არა აქვთ იმისა, თუ როგორ მიდის და მოდის ცხოვრება იმათ ვიწრო წრეს გარეშე, არ იციან, აქვთ თუ არა ადამიანთ სხვა რამ საფიქრებელი საგანი, გარდა სტომაქისა. ერთის სიტყვით, მთელი თავისი აზრი, თუ-კი აქ აზრი რამ საგულისხმოა, მოხერხება და მოცალეობა მარტო თავიანთ ხორცისათვის მოუნდომებიათ, თითქო სულის-კი ბუნებას მეტ ბარგად აუკიდნია იმათთვის ზურგზედ და ამიტომაც თითქო არაფერი მოსავლელია, არაფერი სანაღვლელია, და რამოდენადაც უფრო შორს, უყურადღებოდ მიგდებული იქნება, მით უფრო კაცი მოსვენებულია და უკეთესი.

მართალია, ადამიანი ასეთი რამ დანაბადია, რომელიც სცდილობს-მოიპოვოს იმისთანა ცხოვრება, რომ რაც შეიძლება ნაკლები უსიამოვნობა ჰქონდეს და რაც შეიძლება მეტი სიამოვნება. ეს კანონიერი, ბუნებური მიდრეკილებაა კაცისა და კაცს არ უნდა ეძრახებოდეს, თუ იგი სცდილობს ცხოვრებაში სიამოვნება მოიპოვოს. მაგრამ სიამოვნებაც არის და სიამოვნებაც. იგი რაც ადამიანს ესიამოვნება და არ ესიამოვნება, უტყუარი საწყაოა ადამიანის კაცურის კაცობისა. აქ უნდა გარჩეული იყოს სიამოვნება ხორცისა და სულისა; ჭამა-სმით პირუტყვიც სიამოვნებს და უსმელ-უჭმელობით იგიც იტანჯება, და ადამიანმა რომ მარტო ხორცის სიამოვნებით, მარტო ჭამა-სმით იგმაროს, რით იქმნება იგი პირუტყვზე უკეთესი?.. სირცხვილია კაცისათვის, რამ თავისი თავი მარტო ჭამა-სმის წრეში მოაქციოს და ამას გარდა სხვა რამ სანატრელი და სანაღვლელი აღარ იქონიოს. ზომას გადაცილებულ ჭამა-სმით, ლოთობით კაცი სჩაგრავს, ჰკლავს უკეთესს მხარეს კაცობისას და უმდარესს-კი, თავის აზრით, აცხოვრებს, და ის-კი არ იცის, რომ ლოთობა, ზომას გადაცილებული ჭამა-სმა სულთან ერთად ხორცსაც სჩაგრავს და აუძლურებს.

როგორც სჩანს, ჩვენის თავად-აზნაურობის ყმაწვილ-კაცობა ასე იქცევა: სული კუნჭულში მიუგდია და ერთად-ერთ საყვარელ საგნად ხორცი გაუხდია, ესე იგი, ჭამა, სმა, ლოთობა და ამაებს რა მოსდევს, ჩვენს სასამართლოებსა და სატუსაღოებს მოჰკითხეთ. ამ ქეიფისა და ლოთობისათვის იმ ყმაწვილ-კაცობას რაღაც შემთხვევით შერჩენილი აქვს მამა-პაპის მონაგარი, ცოტა თუ ბევრი, ქონება, რომელსაც სხვა კაცური კაცი ეცდება რიგიანად მოუაროს, და იგი ყმაწვილ-კაცობა ისე ეკიდება იმ ქონებას, თითქო, მისის აზრით, ვაჟკაცი ის არის, ვინც მალე შესჭამს და გაჰფლანგავსო. ის კი ავიწყდება, რომ ადამიანისათვის სარჩო-საბადებელი მარტო სახსარია სულის წარმატებისა და გაძლიერებისათვის და მაშასადამე, მკვიდრი საფუძველია, რომელზედაც შესაძლოა კაცმა ააგოს როგორც თვისი აწმყო, აგრეთვე მერმისიც...

რისი ნიშანია, რომ ჩვენს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში მოქცეული თავად-აზნაურობა ამ გვარს ცხოვრებას მისდევს და ვერა ვითარს საფიქრებელს საგანს ვერ ჰპოულობს ცხოვრებაში? ნუ თუ იგინი მართლა იმასა ჰფიქრობენ, რომ უპოვნიათ ნამდვილი საგანი ცხოვრებისა და ვერა ჰხედავენ იმ უფსკრულს, რომლისაკენაც თვითონაც მიიზიდებიან და თავიანთ შთამომავლობასაც გზას უკვალავენ?

დიაღ, იგინი ჰფიქრობენ, რომ ვითომ უპოვნიათ ნამდვილი საგანი ცხოვრებისა, ვერ ჰხედვენ იმ უფსკრულსა, და ყოველივე ესე კი იმათის ცხოვრების უსინათლობისა, მათის ზნეობის და გონების უკიდურეს დავრდომილების ნიშანია და სხვა არაფერი; რამოდენად საშიში და მავნეა იგი დავრდომილება არა მარტო იმ თავად-აზნაურებისათვის, არამედ მთელის საზოგადოებისათვისაც, ეს ადვილად წარმოსადგენია იმათთვის, ვინც საზოგადოების საქმეებზე ნაღვლობს და ზრუნავს...

დრო არის საფუძვლიანად ჩავუკვირდეთ ზემოდ-აღნიშნულს სენს, რომელიც ძვალ-რბილში გასჯდომია ჩვენის თავად-აზნაურობის ყმაწვილ-კაცობას, და შევეჭიდოთ მას მწერლობით და პირ-უთვნელის დაღადებით მაინც.. თუმცა ჩვენ მტკიცედა გვრწამს, რომ „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ლბილს სიტყვას არ მივმართავთ იმ თავზე ხელ-აღებულებს, იმ გრძნობა-გონება დახშულებს, რომელთ უაზრო საქციელმა, მოქმედებამ, უგზო-უკვლოობამ და უსინათლობამ გამოიწვია ჩვენი წერილი. იმათ არ მივმართავთ იმისთვის, რომ ჩვენს „ლბილს გრდემლს“ ამ შემთხვევაში დაჰხვდება მეტად მაგარი ქვა, რომელსაც უვიცობის კერპობა და უჯიათობა ჰქვიან. ჩვენ მივმართავთ მხოლოდ იმათ, ვისაც გული სტკივა თანამოძმეთათვის, ვისაც ნაღველსა ჰგვრის მათი უსინათლობა, უაზრობა და უსაგნობა, ვისაც ესმის, თუ რამდენი ამაგი, რამდენი სარჩო, მოღვაწილი და მოგროვილი ოფლითა და ჯაფითა, იხარჯება და იფლანგება სრულიად უნაყოფოდ. ამას ისიც დაუმატოთ, რომ ამ სარჩო-საბადებელთან ერთად იფლანგება და უარარაოდ მიდის იგი სულიერი ძალ-ღონეც, რომელსაც, უეჭველია, ეს ყმაწვილ-კაცობა გამოიჩენდა, თუ რომ გული და გონება გახსნილი ჰქონდეს... მივმართავთ იმათ, ვისაც შეუგნია, თუ როგორი ზედ-მოქმედება აქვს აღნიშნულს გარემოებას არა მარტო იმათზედ, ვინც მიზეზია და მსხვერპლი ამ გარემოებისა, არამედ მთელს საზოგადოებაზე, და იმათზედაც-კი, ვინც მუდმივ, განუწყვეტელ შრომასა და გარჯაში ჩაბმულნი არიან...

ჩვენ ვიწოდებთ იმათ, ვისაც ყოველივე ესე ესმის, იმ სენთან საბრძოლველად, რომელიც გვიკარგავს და გვიფლანგავს ჩვენს ზნე-

# ფელეტონი

## გურიის ამბები

განათლებამ გურიაშიაც შემოდგა ფეხი.—ლანჩხუთელების ფაცა-ფუცი მიწის-ძვრის გამო.—კვნესა სამარეში.—წინასწარ-მეტყველები.—ჯაჯიკა მონაზონის შემონათვალი.—გარუქებული პარასკევი და მისი ზედნადები.—სასჯელი მიწის-შემარყეველთ.—ვაჯობეთ გურულებმა ევროპიელებს.—ტრაპიზონელ ხოჯის მოწმობა.—ზოგჯერ სიცილი ცრემლზედ მწარეა.

განათლება მთელ ქვეყანაზე მოიფინა და მისი დალოცვილი სხივი-კი არც ჩვენ გურიასა სტოვებს უყურადღებოდ: გაგვიკეთდა ჩვენც ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზა; გასუფთავდა გურულების დედა-ქალაქი ოზურგეთიც, და დაიმართა ქვითკირის სახლები. ზოგიერთმა თავადებმა სოფლებშიაც-კი წამოსჭიმეს თეთრ-თეთრი სასახლეები; ვისწავლეთ ჩაცმა-დახურვაც: სერთუკები, ფრაკები, შლიაპები რამდენიც გინდათ, იმდენი მოიკითხეთ ჩვენში. ქალებმა, ევროპიელ ქალებსავით, გაიკეთეს ტიურნურები.

რასაკვირველია, ყველას არა აქვს ფრაკ-სერთუკები, ტიურნურები და თეთრი სახლები,—პირ-იქით, უმეტესობა ქალამნებსაც ვერა შოულობს ჩასაცმელად, მაგრამ ეს რა მოსახსენებელია! ეს ყოველთვის ასე ყოფილა და ასე უნდა იყოს. მაშ დიდ-პატარაობა ღვთის გაჩენილი არა ყოფილა, თუ ყველამ თანასწორედ იცხოვრა და ჩაიცვა და დაიხურა?! ეჰ, ამაზე ლაპარაკიც-კი არა ღირს. იმას მოგახსენებთ, რომ ასე და ამ გვარად ვნათლდებით და ვნათლდებით გურულები. ვისაც არა სჯერა, რასაც ვამბობთ, ჩაიკითხოს ჩვენი წერილი ბოლომდე, გაიგოს ჩვენი ამბები და მაშინ უეჭველად დარწმუნდება. განათლება არ არის, მაშ რა არის, რომ აგერ ამ ჟამად ადგილ-მამულებსაც ჰმიჯნავენ ჩვენში „ზემლემერები“ და ხაზინის ვექილები-აგენტები წაღმა-უკუღმა ტრიალებენ ჩვენს სოფლებში.

⁂

მაგრამ ისე მამულების გამიჯვნა არ არის ჩვენთვის საკეთილო, როგორც ის ხილი, რომელიც ამ გამიჯვნას მოჰყვა: ეს ხილიც სწორედ ჩვენს განათლებას მოასწავებს. აი საქმე როგორ არის: როცა რომელისამე „ზემლემერის“, ანუ აგენტის მოთხოვნილება,—კანონიერი თუ არა-კანონიერი, სულ ერთია,—აღუსრულებელი დარჩება ხალხისაგან, პირველნი, ესე იგი „ზემლემერები“ და აგენტები თავიანთ უფროსებთან მიწერ-მოწერას არ გააბმენ ხოლმე, თუმცა-ლა კანონი-კი მოითხოვს, და კარგადაც იქცევიან. რა საჭიროა მიწერ-მოწერა, საკანცელარიო დავიდარაბა, ბიუროკრატობა, როცა ამათ უუფროსებოდაც ადვილად შეუძლიანთ ადგილობრივვე გადასწყვიტონ საქმე და ჩააგონონ, რაც საჭიროა, ჩვენ ბაიყუშ გურულების უმრავლესობას. უნდა ვსთქვათ, რომ ამ გვარად ჩაგონება ადვილიც არის, სწრაფადაც ასასრულებელია და ხარჯსა და ბორჯსაც არ ითხოვს. ან ვითომ, რომ სთქვას კაცმა, რა არის განა დასაწუნარი ამ მოქმედებაში? ყოველ უბრალო რამეზე რომ მიწერ-მოწერას გაჰყვეს კაცი, იცით სად წავა? არ იცით და მაშ მე გეტყვით: ჯერ ერთი რომ ქაღალდი და მელანი დაიხარჯება (ესეც ხომ ფული ღირს?); მერე წერა და გაგზავნაზე ხარჯიც არის და დროს დაკარგვაც; ბოლოს იქნება ასეთს მიწერილობას მთავრობამ ყურიც არ ათხოვოს, რადგან „ზემლემერების“ და აგენტების ზოგიერთი მოთხოვნილება შეიძლება კანონიერი არ აღმოჩნდეს. არა, ბატონებო, არა, დედავ და თვალო, ასე უანგარიშოდ მოქცევა არ შეიძლება. საზოგადოდ მე ყველას ვურჩევ, ვისაც-კი საქმე აქვს, ქაღალდებს თავი დაანებოს.

ასე თუ არა სჯობდეს, მაშ ამოდენა განათლებული ხალხი სულ ასე რად იქცევა? ან ჩვენ, ფხიკიანი გურულები (რომლებშიაც ფრაკ-სერთუკიანი და კაკარდიანიც ისე ბევრია) შევარჩენდით ასეთს საქციელს? ხომ მოგეხსენებათ, რომ გურული კაცი მის მეზობელს ერთ ურიგოდ თქმულ «ღვთის-წყალობიზა»-ში კაკალ გულში ჰკრავს მაჰახელას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენგან დიდი ურიგობა იქნებოდა შეურაცხყოფა არ მოგვეთმინა იმათგან, ვინც ჩვენს გაწურთვნას ფიქრობს. აბა რა გაზრდილობაა, თუ ღმერთი გწამთ, ასეთს კეთილის-მყოფელთ, ვინც უნდა იყვნენ ეს კეთილის-მყოფელნი, საჩივარი დაუწყოთ, შეურაცხყოფა მოგვაყენოთ? არა, არა, სხვამ რაც უნდა ისა ქნას და ჩვენ-კი არ გახლავართ ასე უზრდელები.

⁂

მკითხველებს გაზეთ „ივერიის“ შემწეობით შეტყობილი აქვთ, რომ ოთხ ივლისის მიწის-ძვრამ დიდი თავზარი დასცა გურულებს; ისიც შეტყობილი აქვთ, რომ ლანჩხუთელებმა პარასკევი მიართვეს მეუფეს—აწი მიწისძვრას ნუღარ ინებებ, შენს მადლსაო.

მაგრამ მარტო ამ პარასკევის შეწირვით არ გათავებულა სოფ. ლანჩხუთში მიწის-ძვრის ამბები. გული კარგა არ დასწყნარებოდათ მიწის-ძვრის შიშით, რომ ერთმა პატივცემულმა ლანჩხუთის მცხოვრებმა შეატყობინა სხვა ამ სოფლის მცხოვრებლებს: სასაფლაოზე მიწაში ვიღაც კუთავსო, ვითომ კვნესისო. ამ არა-ჩვეულებრივმა ამბავმა კიდევ უფრო შეაშინა მცხოვრებლები:—სამარეში თუ მიც-

ობრივს, გონებრივს და ქონებრივს ძალღონეს და არა პატარა ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას განადგურებას უქადის. თუ დღევანდელს უმაწვილ-გაცობას არა ეშველება-რა, იმას მაინც ვეცადნეთ, რომ მომავალი უმაწვილ-გაცობა გადავარჩინოთ იმ საშინელს და სავალალო სატკივარს, რომელსაც არარაობა ჰქვიან.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

⁂ სურამიდგან გვწერენ: ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ქართულის თეატრის არტისტები და მოყვარენი აპირობენ ამ დღეებში ეწვიენ სურამსაცა და გაუმართონ მას წარმოდგენა. შემოსავალი თურმე დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. ერთიც კარგი და მეორეც ჩინებული, მაგრამ კოჭი რომ ალჩუ დაუჯდეთ, საჭიროა მოხერხებული დრო ამოარჩიონ წარმოდგენისათვის. ამისთანა დრო გახლავთ თხუთმეტი რიცხვი აგვისტოსი. ამ რიცხვში, ღვთისმშობლის მიძინების დღესა, დღეობა იცის სოფელს იტრიაში, რომელიც სძევს სურამის თავში, ორის ვერსის სიშორეზედ. დიდ-ძალი ხალხი დაესწრება ხოლმე ყოველ წლივ ამ დღეობასა. ბლომი ნაწილი მლოცავეებისა სურამში რჩება იმ დღესა და ღამესა ნაცნობებსა და ნათესავებში და დაესწრება ხოლმე ყოველს საერო გასართობს, თუ ვინმე იხერხებს და გაჰმართავს. ორის წლის წინად ამ რიცხვში იქმნა გამართული წარმოდგენა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ და ოცი თუმანი დარჩა ნაღდ შემოსავლად, გარდა ხარჯისა. შარშან-კი სხვა რიცხვში მოახდინეს წარმოდგენა და იმის ნახევარიც ვერ შემოუვიდათ. ჩვენი დაუზარელი არტისტები რომ 15 აგვისტოს სურამს ეწვიენ, იტრიას ღვთის-მშობლის ღამის თევასა და დღესასწაულსაც დაესწრობიან და მეორე დღეს საღამოთი წარმოდგენითაც დაატკბობენ ერსა. თვითონაც ისიამოვნებენ, უფრო მომეტებულს ხალხსაც ასიამოვნებენ და შემოსავალიც ბლომად ექმნებათ.

⁂ დირექტორი ტფილისის მეორე გიმნაზიისა აცხადებს:

1) დამატებითი ეგზამენები დაიწყობა 21 აგვისტოდამ. ვინც დანიშნულს დროზე არ გამოცხადდება, იმას აღარ მიიღებთ.

2) ვინც ახლად აპირობს გიმნაზიაში შემოსვლას, მათთვის ეგზამენები იქნება 26, 27, 28 და 31 აგვისტოს.

3) სწავლისათვის წელიწადში 40 მანათი გადაჰხდება თითო შეგირდს.

4) ენკენისთვის დასაწყისში გაისინჯება ფორმის ტანისამოსი გიმნაზიელთა (სრული მუნდირის ფორმა, პალტო, ქუდი და ზამთრის ბლუზა). ვისაც ფორმის ტანთ-საცმელი არ ექნება, მაშინათვე დაუყოვნებლივ იქმნება დათხოვნილი გიმნაზიიდამ და მათ ადგილზე სხვებს მიიღებენ.

5) რომელ შეგირდსაც მშობელნი დააყენებენ ისეთს სადგომ ოთახებში, სადაც ჯეროვანი ყურის-მგდებელნი არ ეყოლებათ, რომ თვალი ეჭიროთ მათს ყოფა-ქცევასა და მეცადინეობაზე, ამისთანა შეგირდებს გადიყვანენ სხვა სადგომებში დირექტორის ჩვენებითა, ან არა და სრულიად დაითხოვენ გიმნაზიიდამ.

6) ვინც მოიწადინებს აიყვანოს შეგირდები სადგომს ოთახებში გიმნაზისთან ახლო, უნდა თხოვნა შეიტანოს ამ საგანზე დირექტორთან და დანამდვილებით ჩამოსთვალოს, რა პირობითა სწადიან შეგირდების აყვანა, და აგრეთვე უნდა დაასახელოს ნასწავლი კაცი, რომელსაც თვალყური ეჭირება ყმაწვილების ყოფა-ქცევასა და სწავლაზე არა მარტო სადგურში, არამედ სადგურს გარეშეც.

⁂ ჩვენ გავიგეთ და არ ვიცით, რამდენად სარწმუნოა, რომ მანდილოსან ღინზერგერის გამცარცვავნი, რომელთაც ათას ორმოც-და-ათი თუმანი წაართვეს და გაიქცნენ, ვითომც უკვე შეუპყრია პოლიციასაო.

⁂ ამ დღეებში ჩვენა ვნახეთ ახალი წიგნი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისა, სათაურით „ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში“. ფასი ამ წიგნისა ერთი აბაზია.

⁂ გუშინ ცხრა აგვისტოს საღამოზე იტალიის ბაღში იყო ჭიდაობა გლდანელისა და რენელისა. გუშინ-კი გლდანელი დარჩა გამარჯვებული. ხალხი ბლომად დაესწრო ამ ჭიდაობაზე. შემოსავალი უნდა ბ-ნ ლოც—შვილს გარდაეცეს.

⁂ თითქმის სრულებით უპატრონოდ არის თავ-მინებებული თელავში გზებისა და წყლების საქმე. ორის ვერსის მანძილზე თელავიდამ ეს მეორე წელიწადია რაც წყალმა გააფუჭა ბოგირი და დღესაც უყურადღებოდ არის გაშვებული, თუმცა როგორც თელავისათვის, ისეც მაზრის სოფლებისათვის დიდს საჭიროებას შეადგენს ამ ბოგირის შეკეთება. ნეტა რას აკეთებენ ის ვაჭბატონები, ვისიც ვალია ამაებზე მხედველობა და პატრონობა იქონიონ!

⁂ ამ ზაფხულს თელავში ერთის მაგიერ სამი მკურნალია თურმე და ჰგონიათ, იქნება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ ყოველ გვარი ავადმყოფობა შემოჭურთხობია თელავსაო. ავადმყოფთა სიმცირეს გამოუწვევია დიდი სიფხიზლე და მხნეობა მკურნალებისა: საცა-კი მიიწვევენ, თუ ვისმე თითი წამოსტკივდა, მაშინადვე გაემგზავრებიან დაიარაღებულნი სამკურნალო ინსტრუმენტებით, დიდის ყურადღებით და პატივით ეკიდებიან ავადმყოფებს, უწერენ რეცეპტებს, თითონვე მიაქვთ აფთიაქში თავიანთ ფეხით და თავის საკუთარის ხელით აზავებენ სხვა-და-სხვა წამლებსაო.

⁂ ზესტაფონიდამ: ფერის-ცვალებას ღამეს ერთ მეკურტნეს შეუცვივდნენ სახლში ავაზაკები და წაიღეს ყველაფერი, რაც-კი რამ მოეძევებოდა. ოცი მანეთი ნაღდი წაიღეს. უბედურს მეკურტნეს საძაგლად აქვს დაჭრილი მკლავი, ასე რომ მუშაობას მაინც ეღარ შეიძლებს, კიდეც რომ მორჩეს.

⁂ თელავიდამ: აგერ ეს მეოთხე წელიწადია, რაც აქ დაარსდა საზოგადო წიგნთ-საცავი. როგორც თელავის ახალგაზრდობა, აგრეთვე მაზრისა პირველში დიდად აღტაცებული იყო ამითი: წევრადაც ბევრნი ჩაეწერნენ და საკითხავადაც ბლომად დაიარებოდნენ. გვეგონებოდათ, ეს არის, გაგვაკეთებს წიგნთ-საცავიო. შემდეგაც რო ასე წასულიყო საქმე, მართლაც თვალ-საჩინო ნაყოფს მისცემდა კახეთსა. მაგრამ შემდეგში არა თუ არ იმატა საქმემ, არა თუ პირვანდელ დონეზედაც ვერ გასტანა, არამედ თანდა-თან კლებაში მოდიოდა და დღეს თითქმის სრულებით მკვდარს, არაფრობას წარმოადგენს. თითო-როოლა წევრი-კი შეჰრჩა წიგნთ-საცავს, მაგრამ ისინიც უფრო სახელისათვის არიან ჩაწერილნი და არა რაიმე რიგიან აზრისათვის. წიგნთ-საცავის მდგომარეობა არავის არა აქვს მოჭიდებული გულზე. შიგ არავინ დაიარება საკითხავად წიგნებისა თუ გაზეთებისა. თვით წიგნთა-მცველს ერთი ფეხი ალთასა აქვს, მეორე—ჩალთას, და ათასში ერთხელ ძლივს ჰნახავთ თავის ადგილზე. ვთქვათ, ჩვენ, ადგილობრივნი, წყალ წაღებულები ვართ და არაფრის გაგება არ გვინდა,—ნეტავი ეს საზაფხულოდ მოსული მოსწავლე ხალხი მაინც რატომ არის ასე გასაშტერებლად გულ-გრილი წიგნებისა, თუ გაზეთების კითხვაში.

⁂ თუმცა მწიგნობარი ხალხი კახეთში ძალიან შორს იკიდებენ წიგნებისა და გაზეთების კითხვას, სამაგიეროდ უსწავლელი ხალხი დიდ პატივის-ცემით ეპყრობა დაბეჭდილს სიტყვასა და კარგა შესამჩნევი ხალისიცა აქვს კითხვისა. ურიგოს არ იზამდნენ, რომ სახალხო წიგნებს დაატარებდნენ სოფელ-სოფელ გასასყიდად—ზარალის შიში დღეს აღარ არის სრულიადაო.

⁂ აფხაზეთის სოფელს ჯგერდოში ერთის აფხაზის 17 წლის ქალიშვილს თავის ხელით დამბაჩა უკრავს მუცელში და მოუკლავს თავი. აფხაზების სიტყვით, ეს ქალი ისეთი მშვენიერი ყოფილა სახით და ისეთის პატიოსანის ხასიათისა, რომ კოდორის მაზრაში უკეთესი არ მოიძებნებოდაო. სიკვდილის მიზეზს აბრალებენ იმას, ვითომც საქმრო ამოურჩევია ამ ქალს კეთილშობილთაგანი ყმაწვილი, მაგრამ უფიქრია, რომ მე ის არ მითხოვს, რადგან გლეხისა ვარო, სჯობს არ გავუმხილო მშობლებს ჩემი გრძნობაო, და უიმედო ტანჯვას ამ სოფლად ვარჩევ იმ სოფელს ქალწულადო, უცოდველად მივადგე სამოთხის კარებსაო. ეს სიტყვა უთქვამს თავის ნაცნობ ქალთათვის, შესულა ოთახში, სადაც ფიშტო დებულა სტოლზედ, დაუცია და მაშინვე გათავებულა.

## წერილი ქუთაისიდამ

ძალიან სასიამოვნოდ დაგვრჩა, როდესაც „ივერიაში“ ორიოდე სიტყვით მაინც მოხსენებული ვნახეთ, რომ 20 ივლისს ქუთაისის საბჭოში ერთმა ხმოსანმა შეიტანა სხვა-და-სხვა წინადადებანი, ხოლო ბ-ნმა ქალაქის თავმა არ მისცა ნება ამა წინადადებათა გამოკვლევისაო.

ის ხმოსანი, რომელსაც ქალაქის თავმა, ბ-მა ა... არ მისცა ბაასის ნება, გახლავართ მე, ამის ქვემორე ხელის მომწერი, და რადგანაც ამ ამბავს კორრესპონდენტი ძალიან ცივად, შორიდამ და მოკლედ შეეხო, ამიტომ იმედი მაქვს, რომ მკითხველი, მეტადრე ქუთათური მკითხველი, არ გამიწყრება, თუ ცოტა დაწვრილებით შევატყობინე ჩემი წინადადებანი, მით უმეტესს, რომ ეხლა თავდება უავლი ხმოსანთა სამსახურისა, ახლა სხვები უნდა ამოირჩიონ როგორც ხმოსნებად, აგრეთვე გამგეობის წევრებად და ქალაქის თავად და ურიგო არ იქნება ქუთათურ ამომრჩევთათვის იცოდნენ, სად რა სატკივარი აქვს ქალაქს და ვინ როგორა სწამლობს.

ხსენებულს სალამოზე ჩემი პირველი წინადადება გახლდათ შესახებ იმ კომისიისა, რომელიც ამოარჩია საბჭომ გასაკეთებლად ქუთაისის ბაღისა, ესრედ წოდებულ „ბულვარისა“. საბჭოს განაჩენით ამ კომისიას შეადგენდა სამი ხმოსანი.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ბ-მა ა... უარ-ჰყო განაჩენი საბჭოსი და ბაღის საქმე, მუშაობა აწარმოვა თითონ უკომისიოდ.

ამისთანა საქციელის გამო მე შევიტანე წინადადება: რადგანაც ბ-ნს ა... უმოქმედნია წინააღმდეგ საბჭოს

---

ვალებულებს ბატონები გაუჩნდათ და ავად ხდებიან, ცოცხლებს რაღა უნდა მოგველოდესო, იფიქრეს იმათ და რამდენმამე გაბედულმა კაცმა გადასწყვიტა, შეეტყოთ, თუ რომელი მიცვალებული გამხდარა ავად, ან რას ამბობს ეს მიცვალებული. ბარებით ხელში გასწიეს სასაფლაოსკენ, იქ მართლა გაიგონეს კვნესა. გადათხარეს ერთი, ორი, სამი სამარე და, როცა მეოთხეს მიადგნენ, კუთილი, ანუ კვნესა ცოტა მოშორებით მოისმა. მთხრელებმა დაანებეს თავი მეოთხე სამარეს, მისცვივდნენ იქ, სადაც კვნესა ისმოდა, და ნახეს, რომ ერთი პატივცემული გომბიო-კი გამოჭიმულა და იძახის „კვ“. თურმე ნუ იტყვით და ამ გომბიოს-კი შეუშინებია ჩვენი ლანჩხუთლები. ბარიანები გულ-დამშვიდებულნი დაბრუნდნენ სახლში, მაგრამ სხვა მცხოვრებლებს, რომლებიც სასაფლაოზე არ ყოფილან, რაც უნდა უფიცო, ვერ დააჯერებ:—ბატონო, მიცვალებული კვნესოდა სამარეში, კაი აღარ მოგველისო, ამბობენ ისინი.

**

ახლა კიდევ ვილაც ორი მოხუცებული გამოჩენილა იმავე სოფელ ლანჩხუთში და ამბობენ თურმე: წინასწარ-მეტყველები ვართ, ახლო ხანში მეორედ მოსვლა უნდა მოხდეს, ოთხ ივლისის მიწის-ძვრა იმისი წინა-მორბედი ნიშანი იყოვო. ხალხი ძრიელ დაუფიქრიანებია ამ ღვთის გამოგზავნილ შიკრიკებს, მაგრამ ვილაც ურწმუნო სემინარიელები ილიმებიან თურმე და ხალხს აბრიყვებენ: არ დაიჯეროთ, წინასწარ-მეტყველები-კი არა, ჭკუა-შერყეული და გამოშტერებული მოხუცებულები არიანო.

აბა წარმოიდგინეთ ამ სემინარიელების ურწმუნობა! აგი რა სათქმელია. თუ-კი ურიებს ჰყავდათ, ჩვენ, გურულებს, რატომ არ გვეყოლება ერთი ან ორი წინასწარ-მეტყველი. მერე კიდევ ფილოლოგები ამბობენ: ქართველები ურიების ნათესავი ერი უნდა იყვესო.

**

ერთის სიტყვით, ბევრ გვარი მოძრაობა დაჰბადა მიწის-ძვრამ ჩვენში, ისეთ თემს ვერ ჰნახავ, რომ მიწისძვრის ამბავს არ ლაპარაკობდნენ, ისე ერთ წყრთა გზას ვერ გაივლი, რომ ცხერით ან ზვრით ხელ-დამშვენებული გურული არ მიეწაფებოდეს მის წინაპარის სალოცავ წმინდანისკენ.

ამ წმინდანების სიტყვები თვითონ მიწის-ძვრის მეორე ღამეს მოსიზმრებოდა ჯაჯიკა მონაზონს: „ოლონდ-კიო,—უთქვამთ ვითომ მამა-პაპათა სალოცავს ნიშებს—თქვენ ჩვენ გვახსენეთო, თორემ სულ ლუკმა-ლუკმად ვაქცევთ ამ დედამიწასაო“. ვილაც ურწმუნო ნასწავლები ამასაც არა სთვლიან სიმართლედ. კაცი რომელ წმინდანსაც უნდა ლოცულობდეს, სულ ერთია, წმინდანები კაცებივით აბა როგორ გამოედავებიან ერთმანერთს: — არა შენი მლოცველია და არა ჩემიო, ამბობენ თურმე ისინი. არა, სწორედ ეს ნასწავლები სულელები არიან. მაშ რა არის ეს, თუ არ გამოედავებიან? დავა და საჩივარი-კი არა, ეს დრო გიშოვნეო, ჩვენში რომ იტყვიან, სწორედ ის არის. აბა, წარმოიდგინეთ, დედამიწა აგერ თავის ზურგიდგან გადარეკას გვიქადის და ის დალოცვილი წმინდანები ამ დროს ჯაჯიკა მონაზონის პირით გვითვლიან: „ჩემი რომ გმართებთ, მოგვეცით, თორემ ხომ ჰხედავთ, ცუდად არის თქვენი საქმეო.“

**

ლანჩხუთლებზე ნაკლებ გაჭირვებაში არც ჩოჩხათლები (ჩოჩხათი ოზურგეთის სათემოშია) არიან ამ მიწისძვრის გამო.—„ლანჩხუთლებმა თუ-კი ერთი დღე მიართვეს მეუფეს, ჩვენ კაცები არ ვყოფილვართ და ქუდები არა გვხურებია, თუ დღე ნახევარი არ მივართვათო“, თქვეს ამათ და ერთ მშვენიერ კვირა დღეს ჩააბეს საძღვნოდ „პრიგავორის“ ბაწარი გაიძვერა პარასკევს, ზედ ნახევარი შაბათიც დააკრეს და ასე შეკაზმული მიართვეს მეუფეს, იმ პირობით-კი, რომ მიწის შერყევ-შემორყევაზე მომავალში ხელი უნდა აიღოს. ძალიან კარგია სწორედ. ერთის გაიძვერა პარასკევით ავიშორეთ თავიდგან ისეთი საშიში მოლოდინი, როგორც ქვეყნის დაქცევაა. არც ძვირად დაგვჯდომია, რომ თქვას კაცმა, პარასკევი ჩვენთვის მაინც არაფერი სახარბიელო იყო, უიმისოდაც ათჯერ კინაღამ გაგვექცა. ერთხელ ბოდბელებს რომ არ დაეჭირათ ტყეში, ახლა აღარც ქე გვეყოლებოდა, და მეტი ღონე არ იქნებოდა, ან ორშაბათი და ან სამშაბათი უნდა გაგვეჩუქებია და გაგვეწირა. ნახევარ შაბათი ხომ აბა რა სათქმელია!

გათავდა ეს პარასკევის გაჩუქებაც. მაგრამ ჩოჩხათელებმა მაინც ვერ მოისვენეს იჭვიანობისაგან (ისინი ცოტა ურწმუნო ხასიათისანი არიან).

—ვაი თუ ეგეც საკმარისი არ იყოს მიწის-ძვრის ასაშორებლადაო, იფიქრეს იმათ, მოდი შევიტყოთ, რა მიზეზებისაგან წარმოსდგება მიწის-ძვრაო. სთქვეს ესა და ევროპიულ მეცნიერივით ჩაუკვირდნენ ამ საგანს გამოსაკვლევად კარგა. აწონ-დაწონის შემდეგ ერთმა კეთილ-სინიდისიანმა მოწმემ აღმოაჩინა, რომ მიწის-ძვრა წარმოსდგება შემდეგის მიზეზით: მარხვის მჭამელები და ქურდები (თუმცა-ღა ერთ დროს იყვნენ ქურდად შენიშნულნი და ახლა გვრიტზე უგვრიტესნი არიან), რომ თავის ცოდვილ ფეხებს დედა-მიწაზე ადგმენ, დედა-მიწას ვერ მოუთმენია და იქით-აქეთ გადაყრას გვექადისო. ამ ცოდვილებს თუ რამე არ ვუშველეთ, განძრევა-კი არა, იქნება ერთ დღეს დედა-მიწა შუაზედაც გაირღვესო. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გამოკვლევის შემდეგ შემოაყარეს ბადე ამ დედა-მიწის გამრყეველებს—ქურდად შენიშნულებს და მარხვის მჭამლებს. ჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენისა, ამის გამო იგი მაცემულ იქმნას პასუხის-გებაში და მისგან შესრულებული მუშაობა არ იყოს შეწყნარებული საბჭოს მიერ.

ამაზედ ბ-ნმა ა... მოახსენა საბჭოს, რომ ხსენებულის კომისიის თავმჯდომარედ დამნიშნეს გამგეობის წევრითა. საქმის დაწყებაშივე ვთხოვე კომისიის წევრთ ემუშავნათ ჩემთვის მუშაობაში, მაგრამ ისინი სრულიადაც არ მომეკარნენ და ამის გამო მე ვაწარმოებდი ბაღის გაკეთებასაო.

ძალიან კარგი. მაგრამ თუ საბჭომ ცალკე კომისია აირჩია, ეგ იმიტომ რომ აღარ ენდობოდა გამგეობას შინაურულად საქმის წარმოებაში. ეს კარგად იცოდა ბ-ნმა ასათიანმა და ამიტომ, თუ დანიშნული სამი წევრი არ გამოდგა საქმის შესაფერი, უნდა მოეხსენებინა საბჭოსათვის, რომელიც უკარგისების მაგიერ აირჩევდა საქმიანებს და ამ სახით ფულის დახარჯვა აღარ მოჰხდებოდა უკომისიოდა.

ეს მოსაზრება რო წარმოვსთქვი, ქალაქის თავმა ძრიელ მიწყინა და დაადგინა: წინადადება ხმოსნის მიქიაშვილისა დარჩეს უყურადღებოდ და კომისია გაუქმდესო.

—

ერთს ჩვენს ხმოსანს, როდესაც იგი ბრძანდებოდა საბჭოს სხდომაზე, გაჩენოდა სახლში ცეცხლი. ამაზედ მან შემოიტანა საბჭოში ქაღალდი და ითხოვა შემწეობა ფულად. ერთმა პატივცემულმა ხმოსანმა დაიწყო, რომ ამ მთხოვნელს უნდა მიეცეს ფული, რადგან ის რომ აქ არ ყოფილიყო, სახლი არ დაეწვებოდა და, თუ მოეკიდებოდა, გააქრობდაო. ხმოსნის მჭევრ-მეტყველობას დაეთანხმა უმეტესობა და მისცეს ქალაქის ფულიდამ 200 მანეთი. შემდეგ ერთს ხმოსანს, როდესაც იგიც სხდომაზე იყო, მოჰხდენოდა, რომ სახლში ძროხა ავად გამხდა და მკვდარი ხბო მოიგდო. ეს ხმოსანიც აპირებდა საბჭოში ქაღალდის შეტანასა და ფულის თხოვნასა ამ მოსაზრებით: მე რო იმ დროს სახლში ვყოფილიყავ, პირუტყვების მკურნალს მივიყვანდი და ძროხა ცოცხალ ხბოს მიშობდა, აღარ ვიზარალებდიო. არ ვიცი, შეიტანა თუ არა.

მეორე წინადადება, რომელიც იმავ საღამოს მივეცი საბჭოს: რადგან ქალაქის საჭიროებაზე ფულსა ჰხარჯავს პირ-და-პირ გამგეობა და ამ ხარჯს რიგიანად ვერ ამოწმებს საბჭო, ამიტომ უმთავრესი საქმეები გავცეთ ხოლმე იჯარით, ხოლო გამგეობასა და ხმოსანთა კომისიებს მივანდოთ ზედამხედველობა-მეთქი. ასეთივე წინადადება შევიტანე 20 თებერვალს, მაგრამ ბ-ნმა ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს, რომ ასეთის გარდაწყვეტილებით ჩვენ თითქმის გავაუქმებთ გამგეობას, ამიტომ რომ საქმე-კი აღარა დარჩება-რა ხელში და რიღას მოლარედ უნდა იყოს ან გამგეობა, ან ქალაქის თავიო. ორჯელვე უკუ აგდეს ჩემი წინადადება.

მესამე წინადადება: ქალაქის ფულები იხარჯება წინააღმდეგ კანონიერ დანიშნულებისა და ამის გამო ვითხოვე, რომ ეს საგანი გაესინჯა საბჭოსა და უკანონოდ დახარჯული ფული მოეთხოვა ვისდამიც ჯერ იყო და მიექციათ სამოქალაქო კასაში, მოსახმარებლად ქალაქის მიუცილებელ საჭიროებისათვის. ამ წინადადების შეტანა გამოიწვია პირველად იმან, რომ გამგეობამ, წინააღმდეგ 140 და 144 მუხ. ქალაქის წესდებისა, სამოქალაქო შემოსავლიდამ, საბჭოს დაუკითხავად, დაურიგა გამგეობაში მოსამსახურე პირთ საჩუქრად 315 მანეთი; მეორედ, რამდენისამე ხმოსნის ნებადართვით გამგეობამ დახარჯა ვიდრე 500 მანეთამდე ქალაქის ფული სადილის გამართვაზე, და მესამედ, რომ ქალაქის გამგეობას არ დასჭირვებოდა შრომა და ჯაფა დარჩენილ ფულის მოკრებაზედ, ფულის მოკრება მიანდო პოლიციას და დაუნიშნა ჯილდოდ მანეთში ხუთი კაპეიკი, და ამ სახით პოლიციის მოსამსახურე პირმა წაიღო თავის გასამრჯელოდ ქალაქის ფულიდამ უმეტესს 2,000 მანეთისა.

ეს წინადადებაც უყურადღებოდ დასტოვეს. რამდენად წესიერია ასეთი საქციელი, გარდასწყვიტონ მათმა ამომრჩევლებმა.

ხმოსანი დ. მიქიაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

აი იმისი მაგალითი, თუ ერთსა და იმავე საგანზე ორს კაცს რა სხვა-და-სხვა აზრი შეუდგენია. რუსეთში დაიბეჭდა წიგნი პრჟევალსკისა ჩინეთზე. ამავე საგანზეა დაბეჭდილი თხზულება ქ. სიმონისა, რომელიც ჩინეთში ათი წელიწადი ყოფილა ელჩად. პირველი ამბობს, რომ ჩინელები და მათი სახელმწიფო არაფერს იმედს არ იძლევიან მომავალისათვისაო; ქ. სიმონი-კი სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს. ამ საგნის თაობაზე რომელ ერთს დაუჯეროს კაცმა? ბ-ნ გიორგიევსკის დაუბეჭდია წერილი ჟურნალ „Вѣст. Евр."-ში და ორივე ავტორის აზრების სხვა-და-სხვაობაზე სხვათა შორის ამბობს შემდეგს:

> მე პრჟევალსკიზე უფრო დაახლოვებით ვიცნობ ევროპიელთა ცხოვრებას და დავკვირვებივარ კიდეც იმათს განათლებას, და პრჟევალსკიზე არა ნაკლებ მისწავლია ჩინელთა ცხოვრება. უნდა სინიდისს ქვეშ ვსთქვა, რომ პრჟევალსკის მიერ აწერილი ჩინელები ვერ ვიცანი. პირ-იქით, ქ. სიმონის აზრი-კი სრულიად ნამდვილი და ჭეშმარიტი მგონია; სახელდობრ ის აზრი, რომ ჩინელთა სახელმწიფო ფრიად განათლებული სახელმწიფოა.

მოდი ახლა და დაუჯერე იმისთანა მოგზაურს, როგორიც არის პრჟევალსკი, როცა წამოიძახებს, რომ ესა-და-ეს ერი ნადირი ერია, მერმისი არა აქვს, არა იცის-რა, ბარბაროსიაო.

ხშირად-კი წარმოსთქვამენ ხოლმე ამისთანა ვითომ და მეცნიერნი ასეთს განაჩენს სხვა-და-სხვა ერზე, მაგრამ ყოველთვის ქ. სიმონებისთანა სად შეხვდებიან, რომ სეტყვას ქვა დახვდეს!

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ დღეებში ერთს სადილზე სალისბერის წარმოუთქვამს საკმაოდ ვრცელი სიტყვა და განუმარტავს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი პოლიტიკა ინგლისის მთავრობისა.

ინგლისის შინაგანის პოლიტიკის გამორკვევა, ამ უკანასკნელს დროს მაინც, უფრო ის არის, როგორ უცქერის მთავრობა და მთავარ-მინისტრი ირლანდიის საქმეს. სალისბერისაც სწორედ ამ საგანზედ ულაპარაკნია.

„ის მთავრობა, რომლის მოთავედაც მე ვარო, — უთქვამს კონსერვატორების მეთაურს, — მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ აღასრულოს ბრძანება ქვეყნისა, ესე იგი, დაიცვას ერთიანობა და მთლიანობა იმპერიისა. ჩვენ პატივსა ვცემთ ამ ჩვენს მოვალეობასა, ამ აღთქმასა და ვალდებულნი ვართ ავასრულოთ კიდეც.

დიაღ, ჩვენი მოვალეობაა ვეწინააღმდეგოთ ყველას, ვინც იტყვის განიყოს, განაწილდეს ჩვენი სახელმწიფო. ეს ვალი ისეთი უწმინდესი ვალია ჩვენი, რომლის უძლიერესი და უსამღვთოესი აღარ შეიძლება სხვა იყოს კიდევ როგორც კერძო კაცისათვის, ისე სახელმწიფო მოღვაწის სინიდისისათვის."

შემდეგ სალისბერიმ ბევრი ილაპარაკა იმაზე, თუ რა ძნელია იმისთანა ქვეყანაში, როგორიც არის ირლანდია, წესიერების ჩამოგდება და კანონიერობის დამყარებაო. ჩვენ ვითხოვეთ უფლებანი, რომელიც მოგვანდო ქვეყანამ და ახლა ჩვენი რიგია მივცეთ ანგარიში ამ ქვეყანას, როგორ მოვიხმარეთ ეს უფლებანიო.

გარეშე პოლიტიკაზე ლორდმა სალისბერიმ სთქვა შემდეგი:

„ვიდრე ჩემს ალაგს კვლავ დავიჭერდე, მოვალე ვარ ორიოდე სიტყვა ვსთქვა გარეშე პოლიტიკაზედაც. მე ბევრს ვერას ვიტყვი: პირველი მცნება გარეშე საქმეთა მინისტრისათვის უნდა იყოს სიჩუმისა და დუმილის მცნება ძველ ეგვიპტელებისა. თუმცა ასეა, მაგრამ ორიოდე საგანს-კი შემიძლიან მაინც შევეხო. რუსეთთან საქმე ავღანისტანის გამო სასურველად გადასწყდა. თქვენ იქნება გაიგონეთ რამე და იფიქრეთ, რომ ვითომ ამ საგანმა ბევრი მსხვერპლი მოგვთხოვა: არ დაიჯეროთ. დაგარწმუნებთ, რომ უკეთესად და უფრო სამართლიანად გადაწყვეტა დავისა აღარ შეიძლებოდა. არც ერთს მოდავეთაგანს არავითარი დიდი მსხვერპლი არა გაუწირავს-რა და არა დაუთმია-რა სამისო. და თუ ვლაპარაკობ ამაზე, იმიტომ-კი არა, რომ რაიმე მნიშვნელობას ვაძლევდე რამდენსამე ვერსს იმ უდაბნოსას, რომელსაც, არა მგონია, როდისმე დიდს ფასსა სდებდეს რომელიმე სახელმწიფო, არამედ იმიტომ-რომ ჩვენი დღევანდელი მორიგება ნიშანია ისეთის ურთიერთობისა, რომელიც შესაძლებელ საქმედა ჰხდის მშვიდობიანობას წინანდელ მოდავეთა შორის.

„ამ საქმის თაობაზე კარგს ვიზამდით, რომ ჩვენცა და რუსეთიც ბიკონსფილდის ბრძნულს აზრს მივყვებოდეთ. ბიკონსფილდი ამბობდა: აზიაში სამყოფია ქვეყნები რუსეთისათვისაც და ინგლისისათვისაცაო.

* * *

**ბოლგარია.** ინგლისის გაზეთები ერთმანერთს ადარებენ ალექსანდრე ბატტენბერგსა და პრინც ფერდინანდ კობურგისას. ცხადია, რომ ამ გაზეთებს ბატენბერგი უფრო მოსწონთ. იმათის აზრით, ბატენბერგს ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, რაც საჭიროა ბოლგარიისთანა ერის მართველისათვის. თუ-კი ასეთმა მმართველმა თავი ვერ დაიჭირა ბოლგარიის ტახტზე, რასაკვირველია, ფერდინანდი უფრო ვერ დაიჭერსო. ფერდინანდი მეტად ამაყია და განებივრებული. ამისთანა კაცი ვერ შეიძენს ბოლგარიის ერის სიყვარულსაო და ვერც თავად შეიყვარებსო. ახალი მთავარი შეჩვეულია მეტად მდიდრულს ცხოვრებას, ოდესმე ევროპის დიდს საზოგადოებაში უტრიალნია, უყვარს ყველა ის კმაყოფილება და ნეტარება, რომელსაც-კი დიდ ქალაქებში ცხოვრება აძლევს კაცს, გულ-მოდგინედ აგროვებს იშვიათს ფრინველებს და ძვირფას თვალ-მარგალიტს. ასეთს მოყვარულს სასიამოვნო საზოგადოებისას, წარმოდგენისა და თეატრისას, დოღისასა და საზოგადოდ მდიდრულის ცხოვრებისას, როგორიც არის ფერდინანდი, მალე მოსწყინდება ცხოვრება სოფიისთანა ქალაქშიო. იმისი ხასიათი არ შეეფერება ბოლგარიის ერის ხასიათსა და ეს არისტოკრატი ძნელად თუ მოთავსდება ბოლგარიის გაუწურთვნელ და უზრდელ ერთან, რომელიც ამასთანავე დაღვრემილის ხასიათისაა და თან იჭვიანიც. ჩვენ გვგონია, რომ დიდი ხანი არ გავა და ან თავად ფერდინანდი იტყვის უარს ტახტზე, ან თვით ბოლგარნი აიძულებენ, დაანებოს თავი ბოლგარიასაო.

— პრინც ფერდინანდს შემდეგის წერილით მიუმართნია ბოლგარიის ერისათვის: „ბოლგარიის ერის კრებამ ამომირჩია თქვენ მთავრად. თუმცა ძნელი იყო ჩემთვის, მაგრამ მე მაინც ვიგვიანებდი თქვენთან წამოსვლას, რადგან არ მინდოდა ესაყვედურნა ვისმე, რომ აი, წამოვიდა და არ ეცადა, გული მოეგო ჩვენდა სასარგებლოდ ძლიერთა ამა სოფლისათაო. მე ბევრს ვეცადე ამას, მაგრამ ვერას გავხდი და დიდთა სახელმწი-

---

რე მარხვის მჭამლებს სასტიკად გაუწყრნენ, თქვენ უწინ ასე და ასე იქცეოდითო, და მერე განუწესეს: უკეთუ არ დაუშლიათ მარხვის ჭამა შემდეგშიაც, გარდახდეთ ჯარიმა თითო მარხვის ჭამაში ხუთ-ხუთი მანეთი. ეს განჩინება ჯერ სიტყვიერად გადაწყვეტილია, მაგრამ უეჭველია დაწერითაც დაიწერება. შემდეგ მიუბრუნდნენ ქურდობაში შენიშნულებს. მაგრამ ნუ იფიქრებთ ეს უკანასკნელები მარხვის მჭამელებივით იაფად გადარჩენილიყვნენ. იმათ შესახებ საზოგადოებამ გამოსთხოვა მთავრობას ნებართვა: კაკალ სულ და გულში რომ გვიამება, ისეთი „პრიგოვორი" შეგვადგენინეთო. დანიშნეს დეპუტატები და, ისეთი დღე ჩვენს მტერს და მაწყევარს გაუთენდეს, რაც ამ ქურდობაში ეჭვ-აღებულთ დღე გაუთენდათ: ვის საუკუნოდ გადასახლება გადაუწყვიტეს, ვის ოთხის წლით, ვის ხუთის თთვით ციხეში ჯდომა გაუჩინეს, ვის ჯარიმა და ვის რა, ვერ მოსთვლის ენა და პირი. ვინ იცის, რამდენი მუშა კაცის ცოლ-შვილი აატირა ამ „პრიგოვორმა" და ვინ იცის დასჯილებში რამდენი დამნაშავე და მტყუანი იყო, რამდენი უბრალო და მართალი.

ასე, ამ გვარად დადგინდა და დადგინდა «პრიგოვორები». მაგრამ ბოლოს ერთის „პრიგოვორის" შედგენამ ძრიელ გაუჭირა საქმე ჩვენს დეპუტატებს. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ერთის ქურდად შენიშნულისთვის უნდა გაეწესებიათ ექვსის წლით ვლადიკავკავში გადასახლება და არც ერთმა დეპუტატთაგანმა არ იცოდაკი, ეს ვლადიკავკავი რომელ მხარეს ან სად მდებარეობს.

— ლადი კანკასი ბათომს ქვეით ორის დღის სავალზეა, ამბობდა ერთი.

—უი, ძმავ, შენ არ გცოდნია. ლადი კანკასი ახალციხის მარჯვენით არის, ამტყუნებდა პირველს მეორე. უშველოს ღმერთმა ისევ ჩვენის სოფლის მწერალს. იმას რომ არ გამოეხსნა ჩვენი გეოგრაფიის მცოდნე დეპუტატები ამ გასაჭირისაგან, ისინი ჯერაც ვერ მიაგნებდნენ იმ ჯანდაბაში დამალულ ვლადიკავკავს.

**

ახლა ხომ დაინახე, მკითხველო, რომ გურულებს არავითარი სწავლა-განათლება არ გვდომებია. უსწავლელადაც ყველას ვჯობივართ ჭკუა-მოფიქრებაში. ასე არ არის თუ? ორი ათას წელზედ მეტია, რაც ევროპაში მიწისძვრა საშინელს ზიანს აძლევს ხალხს და ათი-ათასობით ჰღუპავს საცოდავებს. აი, თუნდა წრეულს საფრანგეთსა და იტალიაში ბარე ორი ათასამდე კაცი და ქალი დაღუპა, ათასობით შენობები დაანგრია, მაგრამ არც ფრანგები, არც ინგლისელები, არც გერმანელები და არც იტალელები იმას ვერ მიხვდნენ, რომ ამ საშინელის უბედურების თავიდგან ასაცდენად ერთის პარასკევის გაჩუქება და გაწირვა იყო საჭირო. ფუ, მათ სწავლულობას და განათლებას! ამაზე მეტი მოფიქრება თუ არა აქვთ, ტყუილა ატყუებენ ქვეყანას, ევროპიელები ყველას ვჯობივართო? რაღაა ახლა ჩვენ, გურულების, ჭკუა-მოფიქრებასთან მათი სწავლა-განათლება, თუ რაც იმათ ორი ათასის წლის განმავლობაში ვერ მოუფიქრიათ, ჩვენ ის ერთ წამს მოვიფიქრეთ? ან რა ჯანაბად უნდათ ის მწერლები და ფილოსოფოსები, ასობით რომ ჰყავთ, თუ გასაჭირის დღეს ერთ „პრიგავორს" ვერ დაუწერენ. ღმერთი-კი გაუწყრათ იმათ, ტყუილა ატყუებენ ქვეყანას, თორემ ჩვენი კანცელარიის მწერლების ფეხთა ნარცხი არ ყოფილან! ახლა? ახლა მაინც ჩაგვაცივდებით ვიღაც მეფელეტონეები და დაბა-სოფლის მოამბენი, რომ ფული შეაგროვეთ და სწავლა-განათლებას საჭიროებაზე მოიხმარეთო? რა საჭიროა ჩვენთვის, გურულებისათვის, სწავლა, თუ უიმისოდაც ყველას ვჯობივართ და რასაც სხვები ორი ათას წელს ვერ მოიფიქრებენ, ჩვენ იმას ერთ წამს მოვიფიქრებთ? არა, ძმავ, თქვენ ვერ შეგვაცდენთ ისე, რომ სწავლა-განათლებისათვის ფულები ვფანტოთ. ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს უსწავლელობას! ფული თუ მოგვცეს, ღმერთმა „ფრაკ-სერთუკებში" დაგვახარჯვინოს და „კაკარტის" შოვნისათვის გაგვაცემინოს.

მეფელეტონეებო და დაბა-სოფლის მოამბენო! თუ ის არ გჯერათ, რაც ვსთქვი ჩვენის მაღალ გონების და მოფიქრების შესახებ, ტრაპიზონელ ხოჯას ჰკითხეთ, ვინც გახლავართ ჩვენ, გურულები! გაუგია თუ არა ამ ხოჯას ჩვენ მიერ პარასკევის საუფლო დღედ შეწირვა, შით ჯამეში დაუძახია: იახში ბიჭები გურულები! თუმცა-ღა ქრისტეს თაყვანის-მცემელად ითვლებიან, მაგრამ არც ჩვენ მაჰმადს აკლებენ პატივის ცემას. არ ხედავთ, მაჰმადიანებო, რა პატივი უციათ გურულებს ეხლა ჩვენთვის? მაჰმადის სჯულით დადებული უქმი დღე—პარასკევი იმათაც განუწესებიათ. ბარაქალა, ბარაქალა, გურჯი გურულებო! მე სულ ვამბობდი, გურულები თათრის ნათესავნი არიან, მაგრამ აქამდის ვერავის დავაჯერეო, დაუბოლოვებია ამ ხოჯას თავისი სიტყვა და სიხარული.

იქნება მიკიჟინოთ: რას იცინი, შენს თავს დასცინიო. შენის მოძმეს უბედურება და უგონობა-კი არ უნდა გაცინებდეს, უნდა გატირებდესო. მართალია, მე ყველა ეს ვიცი, ვიცი, რომ დაცინვით იქნება ვერც-კი გარიგდეს-რა, მაგრამ რა ვქნა, რომ გული მტკივა ჩვენს უმეცრებასა და დაერდომილებაზე. ვიცინი, მაგრამ ეს სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა.

ეგ—ინ

ფოთ მივწერე, რომ იძულებული ვარ, უთქვენოდ ვიკისრო მთავრობა ბოლგარიისა-მეთქი. ბოლგარნო! მოვდივარ თქვენთან სავსე თქვენის მხურვალე სიყვარულითა, მოვდივარ, რომ გავიყო თქვენთან ჭირი და ლხინი, გავიყო ყოველივე, რაც უცნობს მერმისში განგებას დაუმზადებია თქვენთვის. ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ვიარო თქვენთან ერთად, თქვენდა წინამძღვრად, განათლებისა და წარმატების გზაზე. დიდია და მეტად მაღალი ის მონდობილობა, რომელიც მე თქვენგან მივიღე. შავადა და ბნელად ჩამოსწოლია თქვენს ქვეყანას საუბედურო ღრუბელნი, მაგრამ ამ ღრუბელთ არ შეუძლიათ შეარყიონ ჩემი ნდობა თქვენდა მამაცობისა და სიმტკიცისა! ხმა ერისა ხმაა ღვთისა და მუდამ ძლევა-მოსილი. ეგ ხმა, ეგ ნება თქვენი ჩემი აღთქმა იქმნება. მომინდვია ჩემი თავი თქვენთვის. ღვთისა და თქვენის შეწევნით ვიბრძოლებ თქვენის საქმისათვის".

**სერბია.** თუმცა სერბიაში სამინისტრო გამოიცვალა და სერბიის მთავრობის მოთავე ამ ჟამად რისტიჩია, მეფე მილანი მაინც ავსტრიისაკენ იყურება და სული და გული იმათკენა აქვს. აი ამ დღეებში რა უთქვამს მილანს ავსტრიაში ერთს გემზე.

„აქამდის ჯერ არც ერთხელ არ მილაპარაკნია ჩემს სიცოცხლეში გერმანულს ენაზედ და ამიტომ გთხოვთ მომიტევოთ, თუ ყველაფერს ვერ გამოვსთქვამ, რისაც თქმა მინდა. სულ-ჩადგმული ვარ გარეშემო ბუნების სიმშვენიერით და დიდად მასიამოვნებს ის საზოგადოება, რომლის შორისაც ვიმყოფები. ვსვამ სადღეგრძელოს ვენგრიის დიდის მეფისას, ფრანც-იოსებისას, რომელიც ყოველს შვილს ამ მიწა-წყლისას უყვარს დიდის სიყვარულით და ერთგულებით. ამ ჟამად ფრანც-იოსებია უფროსი და მეთაური იმ სამეფო გვარისა, რომელიც მუდამ დიდი იმედი და უანგარო მეგობარი იყო ობრენოვიჩების სამეფო გვარისა (მოისმა ძახილი: ელიენ, ჟივიო!) ვცლი ჭიქას კეთილშობილ ვენგრიის ერისა და მის წარმომადგენელთა სადღეგრძელოდ! გაუმარჯოს ვენგრიის ერს, რომელიც ასე ხშირად სერბიელებთან ერთად იღვწოდა და რომელმაც არა-ერთხელ დამიმტკიცა, რომ კერძოდ მეც თავის მეგობრად მიაჩნივარ!"

## წვრილი ამბები

— ქალთა ავადმყოფობის მეცნიერების კათედრაზედ ბოსტონის უნივერსიტეტში მიუწვევიათ ექიმი ქალი ქ-ნი ჩერჩი, ამერიკელი.

— ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქს კემბდენში საკვირველი ავაზაკობა მომხდარა. ვიღაცა კაცის ცოლი სასამართლოში წასულა და ქმარზე საჩივარი მიურთმევია მოსამართლესათვის. ამ დროს ამ ქალის ქმარიც სასამართლოში ყოფილა. გაბრაზებულს კაცს გაუგია თუ არა, რომ ჩემი ცოლი ჩემზედა ჩივის, წამომხტარა, ამოუღია დამბაჩა, ჯერ ცოლი მოუკლავს, მერე საჩივრის მიმღები მოსამართლე და შემდეგ თითონ გამოვარდნილა ქუჩაში და თავი მოუკლავს.

— გამოჩენილ „ზარბაზანთა მეფეს" ანდერძში თავის ესსენის ქარხნის მუშებისათვის 500,000 მან. უანდერძებია. ამ მომუშავეთ მადლობის გადასახდელად განუზრახავთ, რომ კრუპს ძეგლი დაუდგან.

— ბურჟეს ახლო ბანაკში საფრანგეთის სამხედრო მინისტრის გენერალ ფერონის მეთვალ-ყურეობით სცდიან ახალს მოგონილს თოფს. ეს თოფი არტილერიის კაპიტანს ბრალონს მოუგონია. ეს ახლად მოგონილი თოფი იმითი განირჩევა აწ არსებულ თოფებისაგან, რომ ხუთჯერ უფრო მეტის ძალით ისვრის ტყვიას სხვას თოფებზედ.

— გერმანელებს საშინლად უყვართ იუბილეების გადახდა. მაგალითებრ, ამას წინად მიუნხენის გამოჩენილ დოსტაქარმა მე-500 ავადმყოფს მუცელი გაუჭრა. ამ გამოჩენილ დოსტაქრის შეგირდებს ამის გამო სადოსტაქრო დარბაზი ყვავილებით და გვირგვინებით შეუმკიათ; დარბაზის კარებზედ ყვავილებით გამოყვანილი იყო თურმე რიცხვი „500". ავადმყოფის ნახვის შემდეგ ერთს შეგირდს ამ დოსტაქრისას გრძნობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს და პროფესორისაც მადლობა გადაუხდია. რასა თქმა უნდა, რომ ყველაზედ მეტად აღელვებული ამ იუბილეის გადახდის დროს ის იქმნებოდა, ვისთვისაც მუცელი უნდა გაეჭრათ. ერთს ენა-მახვილს უთქვამს ამის თაობაზედ, რომ ის უფრო ადვილია კაცმა ხუთასჯერ გაუჭრას სხვა მუცელი, ვიდრე ერთხელ თვითონ იმას გაუჭრანო.

— კბილის მორჩენის ხელოვნების ლიტერატურამ კიდევ ერთის მეტად ახირებულის და უმაგალითო შრომით იმატა. პარიჟში დაუბეჭდიათ ერთი თხზულება დ. დავიდისა „კოროლ ლიუდოვიკ XIX-ის კბილები". ამ თხზულებაში დაწვრილებით არის აწერილი კოროლის კბილები, რითი განირჩევა ეს კბილები სხვა მომაკვდავთა კბილებისაგან, და სხ. ამ თხზულებას მხოლოდ ერთი თავი აკლია: რა გავლენა აქვს მეფის კბილებს... იმის პოლიტიკასა და შინაურს საქმეებზედ.

— ლონდონის სასამართლოს ერთის პოლიაკის, გვარად ლიპსკისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. ამ პოლიაკს ერთის მუშა-კაცის ცოლი მოუკლავს. ავაზაკს ჯერ თავში დაუკრავს ამ ქალისათვის რამდენჯერმე რაღაცა იარაღი და შემდეგ ძალდატანებით საწამლავი დაულევინებია.

— ქაბულიდგანა სწერენ „Lahore Gazette"-ში, რომ ემირს აბდულ-რახმანს რაღაც მუწუკი გამოუვიდა კეფაზედ; სასახლის ექიმმა მაშინვე მალამო მოუმზადა, წაუსვა ემირს მუწუკზედ, რომ მუწუკი დაჰმწიფებოდა და გამორწყვოდა. ამ მალამომ ისე დაწვა მუწუკი ემირს, რომ მთელი ღამე ტკივილით თვალი არ მოუხუჭნია. დილას ადრიანად ემირმა ბრძანება გასცა, რომ ექიმს თავი გააგდებინეთო. პატარა ხანს შემდეგ-კი მუწუკი დაუმწიფდა, გამოერწყო და მორჩა.

## გასართობი

ამ დღეებში პეტერბურგიდგან დაკარგულან ერთი 14 წლის ვაჟი და 13 წლის ქალი. ეს ყმაწვილები მეზობლად იდგნენ თურმე ერთმანერთთან. სახეირნოდ წასულან სადღაც და აღარ დაბრუნებულან. მშობლები ამ ყმაწვილებს ხუმრობით ნეფე-პატარძალს ეძახდნენ თურმე. ყმაწვილების დაუბრუნებლობის გამო ბევრი ეძებეს პეტერბურგში, ვერსად იპოვნეს და ბოლოს იმითი დაიმშვიდეს გული თურმე, რომ ორანიენბაუმში წავიდოდნენ ერთს ნაცნობ ოჯახობასთანაო. მაგრამ ეს იმედიც ტყუილი გამოდგა, რადგან მეორე დღეს ერთს ნაცნობს უთქვამს: ორივე ყმაწვილი ვნახე, პეტერბურგში მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ და წავიდნენ, მაგრამ ამ ამბავს არავითარიმე ყურადღება არ მივაქციეო. მშობლებს უნდოდათ კიდეც პოლიციაში გამოეცხადებინათ ყმაწვილების დაკარგვა, რომ დეპეშა მოუვიდათ ვაჟის ბებიისაგან და სთხოვდა თავის ქალს, ვაჟის დედას, რომ აქ მოდიო. აღელვებული დედა წასულა პეტერბურგში და იქ დაუჭერია გაქცეულნი. ვაჟი მისულა თურმე თავის ბებიასთან და უთქვამს: აი, ჩემი საცოლე მოვიტაცე და თუ როგორმე არ დამეხმარები, რომ ამ ჩემს საცოლეს არ გამაშორონ, თავებს დავიხოცავთო. ბევრი ულაპარაკნიათ, ბევრი უბაასნიათ და ბოლოს-ბოლოს რის წვალებითა და ტანჯვით დაურწმუნებიათ მცირეწლოვანნი შეყვარებულნი, რომ შინ დაბრუნდით, თქვენი გამშორებელი არავინ არისო.

**

აი ერთი ამბავი იმის საცნობელად, თუ როგორ ასრულებენ საზოგადოდ ექიმები თავის მოვალეობას და როგორა სწამლობენ თბილს და მადნეულს წყლებზედ.

ერთი ავადმყოფი მოსულა თბილს წყლებზე და ექიმისათვის მიუმართავს.

— დილ-დილაობით სამ-სამი ჭიქა თბილი წყალი დალიეთ,—უთქვამს ექიმს—ყოველ ჭიქა თბილ წყლის დალევაზედ ნახევარ-ნახევარ საათი ისეირნეთ და ბოლთა ჰკარით. საზოგადოდ ეცადეთ, რომ რაც შეიძლება მეტს მოძრაობაში იყოთ. მლაშეულობისა და მჟავეულობის ჭამას ერიდეთ. დღეში სამს სიგარაზედ მეტს ნუ მოსწევთ: საუზმისა, სადილისა და ვახშმის შემდეგ. სამის დღის შემდეგ შემოიარეთ და შემატყობინეთ, როგორ გახდებით ჩემს წამალზე.

გაიარა სამმა დღემ.

ექიმი: აბა, ეხლა როგორა ხართ, უკეთესობა დაგეტყოთ, თუ არა?

ავადმყოფი. გმადლობთ, ექიმო, ჯერ-ჯერობით არა მიჭირს-რა, მაგრამ ვშიშობ, გაითუ მერე ისევ ავად გავხდე.

ექიმი. ავად გახდეთ? რადა, რად უნდა გახდეთ ავად?

ავადმყოფი. ძლივ-ძლივობით, დიდის ძალ-დატანებით და ზიზღით ვიტან...

ექიმი. თბილ წყალსა?

ავადმყოფი. არა, არა, ექიმო! წყალს არა უჭირს-რა, ხოლო სიგარები, ჩემს დღეში არ მომიწევია.

## დეპეშა

### 9 აგვისტო

**პეტერბურგი.** გუშინ დაბრუნდა სამხედრო მინისტრი და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

**მოსკოვი.** გუშინ საღამოს დაბრუნდა კლინს პროფესორი მენდელეევი. მზის დაბნელების დროს მენდელეევი ავიდა ჰაერში მფრინავის ბურთით 3,500 მეტრის სიმაღლეზე 15 წამის განმავლობაში; მენდელეევს დაუნახავს მზის გვირგვინი, რომელიც მალე დაჰფარა თურმე ღრუბლებმა. პროფესორს შეუმჩნევია აგრეთვე, რომ ჩრდილი და ბინდი სისწრაფით მოედო ღრუბლებსა. ამ დროს თავად ყურს თურმე უგდებდა ტერმომეტრისა და ბარომეტრის ცვლილებასა. მთელის ერთის საათის განმავლობაში მენდელეევს დედა-მიწა თვალით არ დაუნახავს; თავ-ბრუ არ დასხმია და სრულს გონებაზე ყოფილა. რომ ბურთი კიდევ მაღლა არ ავიდეს, ბ-ნს მენდელეევს ჩამოუშვია ბურთი კალიაზინის ახლო მინდორზე. ბურთი ნელ-ნელა წამოსულა ძირს. ადგილობრივ გლეხ-კაცობას მალე შეუნიშნავს ძირს მომავალი ბურთი და დიდის სიხარულით მიჰგებებიან პატივცემულს ჰაერში მფრინავს მოგზაურს. პროფესორს ჩამოუყრია ძირს ქაღალდები და უთხოვნია გლეხებისათვის, ბურთის ჰაიდროპი დაიჭირეთო; ღუზას ხმარება მენდელეევს საჭიროდ არ დაუნახავს. ჰაიდროპი დაიჭირა გლეხმა ეგორ გრიგორიევმა და მერე სხვების შემწეობით დააბა ხეზე. ბურთი მშვიდობიანად ჩამოეშვა, დილის 9 საათსა და 20 წუთზე ბურთი უკვე დედამიწაზე იყო. გლეხთა-პრისუტსტვიის წევრმა ბ-ნმა სალტიკოვმა პირველმა გაჰგზავნა ამ საგანზე დეპეშა კალიაზინს. პროფესორმა მენდელეევმა გაიარა სერგიევის პასადზე, მოსკოვს და დაბრუნდა კლინს; პროფესორი კარგად არის, მხოლოდ ცოტა დაღალულია. ადმინისტრაცია დიდად ეხმარებოდა გამბედავს მოგზაურს. მენდელეევს განზრახვა აქვს ყველაფერი, რაც შენიშნა ჰაერში ყოფნის დროს, შეატყობინოს ფიზიკისა და ქიმიის საზოგადოებას.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** წრევანდელი იარმუკობა და ვაჭრობა შარშანდელზე ბევრად უკეთესია.

**ხარკოვი.** სამარიამობო იარმუკა სრულიად გაიმართა; დიდ-ძალი საქონელი მოვიდა; მოდიან მსყიდველნიცა; სამანიფაქტურო საქონელს უფრო მოითხოვენ მსყიდველებიო, ჰფიქრობენ ვაჭარნი. გაურეცხავი მატყლი 30,000 ფუთამდეა; ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე სამების იარმუკაზე. დარი არ ვარგა, ქარი ჰქრის და ჭირნახულის მოტანას უშლის მინდვრებიდამ.

**ბერლინი.** აქ მოვიდა პეტერბურგიდამ რუსეთის სტამბოლელი ელჩი ნელიდოვი, რომელიც, როგორც ისმის, რამდენსამე დღეს დაჰყოფს აქა.

**პეტერბურგის ბირჟა, 7-ს აგვისტოს**

**ფასები:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 272½ |
| — მეორისა | — » | — » | 253¾ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | 99 |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | 83¾ | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**11 დღე სამშაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. სუსანასი. კათოლ. სუსანასი და ფილომენისა. მუსულ. მე-5 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—48. მთვარე 5 დღისაა.

**12 დღე ოთხშაბათი.** მოწ. ფოტისა და ანიკიტესი. კათოლ. კლარისასი, ალბერტისა და მერკულიანისა. მუსულ. მე-6 რიცხვი ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—47. მთვარე 6 დღისაა.

**13 დღე ხუთშაბათი.** ღირსის მაქსიმესი. კათოლ. იპოლიტისა და კასიანესი. მუსულ. მე-7 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1 ტფილისში მზე ამოდის 5—18, ჩადის 6—45. მთვარე 7 დღისაა.

**14 დღე პარასკევი.** წმ. მიქეა წინასწარ-მეტყ. კათოლ ევზებიასი და დემეტრიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-8 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიმ-უტთერვია, დღე აბრაამის ფიქრისა ისმაილის (ისააკის) მსხვერპლად შეწირვის გამო. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44. მთვარე 8 დღისაა.

**15 დღე შაბათი.** მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. წმ. მარიამის მიცვალება. იოსებისა და იოანნასი. სომეხ. დღესასწაული წმ. ეჩმიაწინისა. ნავაკატიქი. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43. მთვარე 9 დღისაა.

**16 დღე კვირა.** დღესასწ. უფლის იესო ქრისტეს ხელთ-უქმნელის ხატისა. კათოლ. იოხამისა, როხასი და გიაცინტასი. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. კურთხევა ყურძნისა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიისა ტფილისში. მუსულ. მე-10 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა ყურბან-ბაირამი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—41. მთვარე 10 დღისაა.

**17 დღე ორშაბათი.** წმ. მირონისა. კათოლ. ანასტაზიასი და ემილიასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. გარდაცვალებულთა კურთხევა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39. მთვარე 11 დღისაა.

## კერძო განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრას თავად-აზნაურთა. (8—6)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსი და მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჯორჯიკია

(6—5)

Дозв. цен. Тиф. 10 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე